<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მაისი 2017 წელი

ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩის გაგრძელების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, გაგრძელდეს ავთო ვარაზის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X:475,311.181
Y:4,620,977.244
ავთო ვარაზის ქ.
X:475,551.450
Y:4,620,861.912
X:475,614.871
Y:4,620,814.128

02/951

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ.ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ

გიორგი ალიბეგაშვილ

13.03.17

№07/3061
13.03.17

Contact info:
E-mail: info@ubani.ge
Tel: +995 32 2 50 99 99
Mob: +995 577 79 75 75
www.ubani.ge
facebook.com/Lisi Green Urban

13 მარტი 2017 წ.
15/03

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანია ახორციელებს ახალი "მწვანე უბნის" მშენებლობას ვარაზის ქუჩის გაგრძელებაზე სოფ. თხინვალას მისასვლელამდე. ავთო ვარაზის ქუჩიდან სოფ. თხინვალამდე მონაკვეთი ოფიციალურ დოკუმენტებში მოხსენიებულია როგორც სოფ. თხინვალას მიმდებარე ტერიტორია, თხინვალას ქუჩა.
ვინაიდან „მწვანე უბანი" არის თანამედროვე ტიპის 5-7 სართულიანი შენობებით დაპროექტებული ქალაქის ტიპის დასახლება და ავთო ვარაზის ქუჩა უკვე ცნობადია მოსახლეობისთვის, გთხოვთ ზემოაღნიშნულ მონაკვეთს სოფელ თხინვალამდე ასევე დაერქვას ავთო ვარაზის სახელი.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი.

პატივისცემით,

საოპერაციო დირექტორი

ზურაბ წვერიკმაზაშვილი

შპს „გრინ დეველოპმენტი"
ს.კ. 204452412
ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #154

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის
საკრებულოს აპარატი
№ 07/3061
"13" მარტი 2017
ფურცელთა რაოდენობა 1 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2